საქართველოს პარლამენტის ბიუროს

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] ელ. ფოსტა:
[redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ საკანონმდებლო წინადადება - საკონსულო დეპარტამენტის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საკონსულო სერტიფიკატის სავალდებულოდ ფლობის განსაზღვრის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-1799/23
02. 02. 2023 წ. ფურცლ. 4

<u>საქართველოს პარლამენტს</u>

საკანონმდებლო წინადადება

საკონსულო დეპარტამენტის უფლებამოსილების განხორციელებისათვის საკონსულო სერტიფიკატის სავალდებულოდ ფლობის განსაზღვრის შესახებ

- **ცვლილების სახეობა:** „დიპლომატიური სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონსულო ფუნქციები[1] შესაძლებელია განახორციელოს, როგორც საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში/ საკონსულო დაწესებულებაში დასაქმებულმა დიპლომატმა (საკონსულო თანამდებობის პირმა), ასევე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფლებამოსილმა თანამშრომელმა. ამასთან, „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის (მიღებული 12/06/2012) მე-10 მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, საკონსულო თანამდებობის პირი საკონსულო საქმიანობის განხორციელებისას ექვემდებარება სამინისტროს და საკონსულო დეპარტამენტს. ამავე კანონით განმარტებულია საკონსულო დეპარტამენტი, როგორც სამინისტროს სტრუქტურული

---

1 ამასთან, „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ძირითადი საკონსულო ფუნქციებია:

- კონსულტაციის გაწევა;
- სამართლებრივი დაცვა (სამართლებრივი დაცვა არის საკონსულო თანამდებობის პირის მიერ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის დროს განხორციელებული ღონისძიებები. საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი დაცვა შეიძლება გამოიხატოს ადგილსამყოფელ სახელმწიფოში მათი უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობით. უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საკონსულო თანამდებობის პირი გასცემს სხვადასხვა ცნობას, ადასტურებს საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაცემის ფაქტს, ასრულებს და ამოწმებს დოკუმენტის თარგმანს, უზრუნველყოფს დოკუმენტისა და ინფორმაციის გამოთხოვას);
- შუამდგომლობა;
- *საკონსულო ოლქის ფარგლებში სავაჭრო, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, ტრანსპორტის, ტურიზმისა და სამართლებრივ სფეროებში თანამშრომლობის ხელშეწყობა; საკონსულო ოლქის შემოვლა;*
- *საკონსულო სფეროში არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულების საერთო ზედამხედველობა;*
- <u>საკონსულო ლეგალიზაცია;</u>
- <u>საქართველოს ვიზის გაცემა;</u>
- <u>საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემა;</u>
- <u>საკონსულო აღრიცხვის წარმოება;</u>
- საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოებისთვის სამართლებრივი დახმარების გაწევა;
- სანოტარო მოქმედებების შესრულება;
- *საქართველოს საზღვაო, საჰაერო, საავტომობილო და სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებების საკონსულო მომსახურება.*

ხოლო დელეგირებული საკონსულო ფუნქციებია:

- საქართველოს მოქალაქეობასა და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები;
- საქართველოს მოქალაქეთა რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებული საკითხები;
- სამოქალაქო აქტების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა ფუნქციები.

ქვედანაყოფი, რომელიც ახდენს საკონსულო პოლიტიკის შესახებ წინადადებებს შემუშავებას და დაგეგმვას, ახორციელებს საკონსულო საქმიანობის საკონსულო მონიტორინგს, კოორდინაციას უწევს საკონსულო თანამდებობის პირთა მუშაობას, საკონსულო საქმიანობის განხორციელების მიზნით გასცემს დირექტივებს და მეთოდოლოგიურ მითითებებს, თუმცა, გარდა ზემოხსენებული განმარტებისა, საყურადღებოა მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებაც:

- სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების არარსებობის შემთხვევაში, მინისტრის გადაწყვეტილებით და ადგილსამყოფელი სახელმწიფოს თანხმობით, **საკონსულო საქმიანობა შეიძლება განახორციელოს საკონსულო დეპარტამენტმა,** ან მესამე სახელმწიფოში არსებულმა საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ საკონსულო თანამდებობის პირის მეშვეობით ან საკონსულო დაწესებულებამ.
- საჭიროების შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში **საკონსულო საქმიანობა შეიძლება ასევე განახორციელოს დროებით მივლენილმა საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომელმა** ან საზღვარგარეთ საქართველოს სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან სხვა საკონსულო დაწესებულებაში სამუშაოდ წარგზავნილმა საკონსულო თანამდებობის პირმა.

თუმცა, გარდა ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმებისა, ყურადსაღებია ის რეგულაციებიც, რომლებიც საკონსულო დეპარტამენტის დებულებასა და საქმიანობის მარეგულირებელ შესაბამის სამართლებრივ აქტშია მოცემული.

- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 23/04/2020 N01-72 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **საკონსულო აღრიცხვაზე** უფლებამოსილი თანამდებობის პირი - საკონსულო თანამდებობის პირი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური პირების საკონსულო აღრიცხვაზე დაყენებასა და მოხსნას;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 24/02/2010 N60 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულო ლეგალიზაციის წესის მე-6 მუხლის შესაბამისად, **საკონსულო ლეგალიზაციის** განხორციელებაზე უფლებამოსილი ორგანოებია: დიპლომატიური წარმომადგენლობები, საკონსულო დაწესებულებები, საკონსულო დეპარტამენტი და საქართველოს ინტერესთა სექცია. საკონსულო ლეგალიზაციის სფეროში საქმიანობის საერთო კოორდინაციასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტი;

- საქართველოს მთავრობის 30/06/2014 426 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოში **დასაბრუნებელი მოწმობის** დებულების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, დასაბრუნებელი მოწმობის გამცემი ორგანოებია დიპლომატიური წარმომადგენლობა. საკონსულო დაწესებულება, საქართველოს ინტერესთა სექცია და საკონსულო დეპარტამენტი, ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივნისის 280 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს **ვიზის გაცემის,** მისი მოქმედების ვადის გაგრძელებისა და მოქმედების შეწყვეტის წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკონსულო დეპარტამენტი უფლებამოსილია გასცეს საიმიგრაციო ვიზა – საქართველოში კანონიერად მყოფ უცხოელზე, C კატეგორიის მოკლევადიანი ელექტრონული ვიზა, თუ სავიზო განაცხადი წარდგენილია e-VISA PORTAL-ის მეშვეობით და მოკლევადიანი დიპლომატიური და სპეციალური ვიზები, D3 და D5 კატეგორიის ვიზები – ამ წესის 34-ე მუხლით განსაზღვრული წესით მათი მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში.

ამასთან, საკონსულო დეპარტამენტის დებულებით ყურადღებას იქცევს შემდეგი ფუნქციებიც:

- საზღვარგარეთ დაპატიმრებულ, დაკავებულ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ საქართველოს მოქალაქეთა შესახებ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებიდან და საკონსულო დაწესებულებებიდან შემოსული ინფორმაციის საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიწოდება და მათი **საკონსულო დაცვის მიზნით, რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება;**
- საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა **გარდაცვალების შემთხვევაში** საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის **დახმარების გაწევა;**
- კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებსა და ფარგლებში საქართველოს **მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში** მონაწილე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის **დახმარების გაწევა;**
- საზღვარგარეთ დაკავებული საქართველოს მოქალაქის **ექსტრადაციისა ან მსჯავრდებულის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში** მონაწილე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის **დახმარების გაწევა;**
- საქართველოს მოქალაქეთა **ოფიციალური დოკუმენტების** საზღვარგარეთის სახელმწიფოებიდან და საქართველოს კომპეტენტური ორგანოებიდან **გამოთხოვა**
- საქართველოს მოქალაქის **პასპორტების, დასაბრუნებელი მოწმობისა და სხვა სამგზავრო დოკუმენტებისა და პირადობის მოწმობების**

გაცემაში, პასპორტების მოქმედების ვადის გაგრძელებაში, საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებებისათვის **დახმარების გაწევა;**

- საზღვარგარეთ მყოფ საქართველოს მოქალაქეთა **ადგილსამყოფლის დადგენა;**
- დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტების მფლობელ პირთა **სავიზო უზრუნველყოფაში დახმარების აღმოჩენა;**
- საკონსულო-საინფორმაციო მასალების გავრცელება და **მოქალაქეთა მისაღების ფუნქციონირების უზრუნველყოფა,** ასევე მოქალაქეთა განცხადებებზე დროული რეაგირება და პასუხების გაგზავნა;
- კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მყოფ უცხოელთათვის **კონსულტაციის გაწევა;**
- **„საკონსულო ცხელი ხაზის" მომსახურება** სატელეფონო და ელექტრონული საშუალებებით.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად ფაქტიურად ერთნაირი ფუნქციონალური დატვირთვისა, უფრო მეტიც - საკონსულო დეპარტამენტის როლი საკოსულო თანამდებობის პირთა საქმიანობის კოორდინაციასა და პოლიტიკის განსაზღვრა/დაგეგმვის კუთხით მის მნიშვნელობას კიდევ უფრო გამოკვეთს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საკონსულო თანამდებობის პირების დანიშვნისა და სრულყოფილი საკონსულო ფუნქციების განსახორციელებლად ესაჭიროებათ მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლა და შესაბამისი სერტიფიკატის მიღება (მიუხედავად იმისა, რომ როტაციის ფარგლებში იქნებიან თუ არა ისინი არსებითად დატვირთულნი), თუმცა, საკონსულო დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს ასეთი სერტიფიკატის ფლობა არ ევალებათ[2].

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია:** საკონსულო ფუნქციების განხორციელებაზე არათანასწორი მოთხოვნების და პირობების განსაზღვრა[3].

---

[2] ზემოხსენებულის გათვალისწინებით, არაა გამორიცხული, რომ საკონსულო დეპარტამენტის მენეჯერულ პოზიციებზე მყოფ პირებს არ გააჩნდეთ „საკონსულო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლის შემდგომ (22/06/2012) მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სპეციალური სასწავლო პროგრამის გათვალისწინებით სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემული საკონსულო სერტიფიკატები.

[3] ბ. ძამაშვილის სადოქტორო ნაშრომის (თემაზე - თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში; ნაწილი - დისკრიმინაციის სამართლებრივი მნიშვნელობა და მისი ელემენტები; გვ. 18) მიხედვითაც - „საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გათვალისწინებით, უნდა გამოიყოს დისკრიმინაციის შემდეგი ელემენტები: 1) ქმედება - განსხვავებული მოპყრობა; 2) შესადარებელი კატეგორია - ვისთან მიმართებითაც დგინდება განსხვავებული მოპყრობა; 3) ქმედების მიზეზი - ნიშნის არსებობა, რის გამოც პირს განსხვავებულად მოეპყრნენ; 4) ქმედების მიზანი ან შედეგი - არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება; 5) განსხვავებული მოპყრობის ობიექტური ან გონივრული განმარტების არსებობა".

უპირველეს ყოვლისა, საკონსულო დეპარტამენტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მნიშვნელობა სერტიფიცირების გაცემის/ ძალმოსილების განსაზღვრის პროცესში ჩანს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 02/11/2022 01-413 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური მოსამზადებელი პროგრამის გავლის წესიდანაც, რომლის იმ პირზე გაცემული სერტიფიკატი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას, მაგრამ რომლის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საკონსულო ფუნქციების ბოლოს განხორციელებიდან ან/და სამინისტროს **საკონსულო დეპარტამენტში მუშაობის დასრულებიდან გასულია 6 წელი**[4], უქმდება და საკონსულო თანამდებობის პირად მისი დანიშვნა შესაძლებელი გახდება სასერტიფიკატო გამოცდის ხელახლა წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. ხოლო წესის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სერტიფიკატი უქმდება და საკონსულო თანამდებობის პირის დანიშვნისათვის აუცილებელია პირის მიერ სასერტიფიკატო გამოცდის ხელახლა წარმატებით ჩაბარება იმ შემთხვევაში, თუ სერტიფიკატის მფლობელ პირს, სერტიფიკატის მიღებიდან 3 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა ან საკონსულო დაწესებულებებში თანამდებობაზე დანიშვნის გზით უწყვეტად არანაკლებ 6 თვის განმავლობაში არ განუხორციელებია საკონსულო ფუნქციები ან სერტიფიკატის მფლობელ პირს, რომელსაც სერტიფიკატის მიღებიდან 3 წლის განმავლობაში არ აქვს სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტში უწყვეტი 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება ან/და სამინისტროში საკონსულო მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. სერტიფიკატს საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომლის ან საკონსულო თანამდებობის პირის უფლებამოსილების ფარგლებში გამოყენება თანაბრად უნარჩუნებს მას ძალმოსილებას. დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს, რაიმე ნიშნის მიხედვით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ისინი არსებობს, შეუსაბამოს ამ კანონსა და სხვა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას. ასევე, სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, რომ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების და ინტერესების დაცვის ხარისხის ამაღლებისა და საკონსულო დეპარტამენტში საკონსულო ფუნქციათა განხორციელებაზე (დანიშვნაზე) თანასწორი შესაძლებლობების განსაზღვის მიზნით[5], მიზანშეწონილია „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით (იმავე პრინციპით, როგორც ეს საქართველოს საკონსულო თანამდებობის პირებთან მიმართებით საკანონმდებლო

---

[4] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 20/07/2018 01-174 და 04/12/2017 01-254 ბრძანებით დამტკიცებული წესით, ხსენებული ვადას წარმოადგენდა 5 წელი.

[5] ალოგიკურად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისიც, რომ შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის მფლობელ პირს, მითითებებს და დირექტივებს აძლევდეს ხსენებული სერტიფიკატის არ მქონე მაკოორდინებელი პირი;

დონეზე განხორციელდა) განსაზღვრულ იქნეს ხსენებულ სტრუქტურულ ერთეულში დანიშვნა (თუგინდ შიდა კონკურსის გზით დანიშვნის ან გადაყვანის ფარგლებში) სსიპ – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტის მიერ[6] გაცემული შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა[7].

❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი:**

- საქართველოს მოქალაქე ნიკოლოზ ნიკოლაძე, პირადი ნომერი [redacted]
- მცხ.: [redacted] საფოსტო ინდექსი [redacted]
- ელ. ფოსტა: [redacted] მობ.: [redacted]

01/02/2023

[6] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 02/11/2022 01-413 ბრძანებით დამტკიცებული საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური მოსამზადებელი პროგრამის გავლის წესის შესაბამისად, პროგრამა ტარდება წელიწადში ორჯერ, რომლის განხორციელების კოორდინაციას უზრუნველყოფს სამინისტრო.

[7] საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 02/05/2019 01-74 ბრძანებით დამტკიცებული წესის 19-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გამოსაცდელი ვადის დასრულების შემდეგ, დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული მოხელის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საკონსულო დაწესებულებაში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად და როტაციის წესით სამუშაო მივლინებაში წარსაგზავნად, სავალდებულოა დიპლომატიურ სამსახურში დამწყები პროფესიული საჯარო მოხელეებისათვის სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატისა და საკონსულო თანამდებობის პირის დასანიშნად სავალდებულო სპეციალური სასწავლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის ფლობა.